



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეფარიშვილი ზურაბ სანდროს ძე

მეფარიშვილი ზურაბ სანდროს ძე (25. VIII. 1934, ბათუმი - 2. VI. 2015, თბილისი), გენერალ-ლეიტენანტი (1997). დაამთავრა თბილ. სამხ. სასწავლებელი (1957). 1988-მდე მსახურობდა საბჭოთა ჯარში. 1988-92 იმყოფებოდა პენსიაზე 1992-95 იყო 21-ე მოტომსროლელი ბრიგადის მეთაური. 1995-96 მსახურობდა საქართვე. მთავარი შტაბის უფროსის მოადგილედ, შემდეგ უფროსად, 1996-98 - თავდაცვის მინისტრის I მოადგილედ 1996 მიიღო გენ.-მაიორის წოდება. აქტიურად მონაწილეობდა საქართვე. ტერიტ. მთლიანობისათვის წარმოებულ სამხ. მოქმედებებში იყო ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანი. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III (1996) და II ხარისხის (1997) ორდენებით და მედლებით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ და „მხედრული მამაცობისათვის“.

მ. კოვიტიძე
